ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია

2019 წლის 21 თებერვალს ჩავატარე გაკვეთილი V 3 კლასში.

გაკვეთილის თემა: ''გოგონები, რომლებიც ცვლიან სამყაროს''(რეზო ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით)

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული

სკოლამ საგნობრივ ცოდნასთან და ჩვევებთან ერთად , მოსწავლეებს უნდა განუვითაროს პრობლემის გადაჭრის უნარიც, რადგან ცხოვრებაში მოზარდები ხშირად ხვდებიან წინააღმდეგობრივ სიტუაციას.

გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებისთვის ახალი იყო ამ კუთხით გაკვეთილის წარმართვა, რადგან პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი დაწყებით საფეხურზე , საკმაოდ რთული დასაგეგმი და გასახორციელებელია.

მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ასეთი ტიპის საგაკვეთილო პროცესი. მათ მიეცათ საშუალება მოეფიქრებინათ, ემსჯელათ და გამოეტანათ სათანადო დასკვნა. მიღებული ცოდნა კი გამოიყენეს კითხვა- პასუხისა და წყვილებში მუშაობის დროს.

გაკვეთილის მიზანი იყო:

მოსწავლეებს ეპოვათ პრობლემა მოცემულ სიტუაციაში და მოენახათ ამ პრობლემის გადაჭრის გზა. ასევე, გამოევლინათ მოსმენილი ტექსტის გაგება-გაანალიზების უნარი. შესძლებოდათ პერსონაჟთა დახასიათება, შესძლებოდათ შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა.

ეს ყოველივე ეთანხმებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტს:

ქართ.დაწყ.(II) 8 მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების ადეკვატურად გაგება-გაანალიზება;
ქართ.დაწყ.II) 5 განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;
ქართ.დაწყ.(II) 4 მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენა;
ქართ.დაწყ.(II) 6 მოსწავლე ხმამაღლა, გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს შერჩეულ ნაწარმოებებს.

მოსწავლეებმა გაამართლეს ჩემი მოლოდინები. შეძლეს გაეაზრებინათ,რეზო ინანიშვილის მოთხრობებში დასმული პრობლემური საკითხი.ასევე, შეადარეს ერთმანეთს ნაწარმოებების მთავარი გმირი გოგონები. მათ სწორად გასცეს თემატურ კითხვებს პასუხი, თავად დასვეს შეკითხვები, ისაუბრეს ქართული კულტურისთვის დამახასიათებელ მუხის უნივერსალურ სიმბოლოზე. განმარტეს ტექსტში მოცემული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაც. აქტიურად ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელს უწყობდა მოსწავლეთა ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკული უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მომიხდა

გეგმის მცირედი მოდიფიცირება, მქონდა შეცდომებიც, გაკვეთილის მსვლელობით მაინც კმაყოფილი დავრჩი.

დასაწისში, კითხვების მეშვეობით გავააქტიურე წინარე ცოდნა. თვალსაჩინოებისთვის გამოვიყენე ქაღალდის ფერადი ბუშტები, რის შედეგადაც მოსწავლეებმა გაიხსენეს ის გოგონები, რომლებიც თავიანთი საქციელით და ზნეობრივი გმირის ხედვით, ცვლიან უგუნურებაში მყოფ უფროსებს. შემდეგ, მთელ კლასთან ერთად განვიხილეთ თუ რომელი პერიოდი თამაშობდა განსაკუთრებულ როლს ადამიანის პიროვნულ განვითარებაში.

მოსწავლეებმა შეასრულეს მიზანზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი სამუშაო.

გაკვეთილი ყველაზე წარმატებული იყო იმ ფაზაში, სადაც ისინი მსჯელობდნენ და პასუხობდნენ ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით აგებულ კითხვებზე.ამაღლდა მოტივაცია, რაც გამოიხატა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით. გვქონდა კითხვის გაჩერებები, რომლის მეშვეობით დავადგინეთ ნაწარმოებში არსებული პრობლემა და დასახეს ამ წინააღმდეგობის გადაჭრის გზები.

გაკვეთილის მსვლელობისას, გარკვეული ხარვეზებიც გამოიკვეთა, რამაც ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია ჩემში. უცხო სიტყვების განხილვისას,სათანადოდ ვერ განუმარტე ერთ-ერთი სიტყვის მნიშვნელობა. ვენის დიაგრამის წარდგენისას, სადაც მოსწავლეებს უნდა დაენახათ და ამოეცნოთ პატარა გოგონების მსგავსება- განსხვავება, სიჩქარისაგან არასათანადოდ დავხაზე ეს სქემა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გამოთქვეს და დააფიქსირეს საკუთარი აზრი.

გაკვეთილის გეგმაში მქონდა ორი აქტივობა: ჩრდილების თეატრი და მოსწავლეებს უნდა გაეხსენებინათ მუხასთან დაკავშირებული ბევრი სოფლის სახელი: მუხრანი, მუხიანი, მუხათწყარო, ჭყონდიდი, ჭყონგურა და ა.შ. პირველი არასათანადო პირობების შედეგად არ გამოვიდა, ხოლო მეორე აქტივობა საერთოდ არ გავახორციელე. ამ შეცდომებს, სამომავლოდ გავითვალისწინებ, თუმცა მიმაჩნია, რომ გაკვეთილი ცოცხალი პროცესია და მიუხედავად ყველა რისკის გათვალისწინებისა, შესაძლებელია წარმოიშვას დამაბრკოლებელი ფაქტორები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოდელო გაკვეთილს ვატარებდი პირველად და ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას ყველაფრის მიმართ. ამ ყველაფერმა გამოიწვია მღელვარება და დიდი ემოცია. მომავალ გაკვეთილისთვის ვეცდები ჩემი ემოციები კონტროლს დავუქვემდებარო. ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სამომავლოთ ვითანამშრომლებ კოლეგებთან,გავიზიარებ მათ გამოცდილებას, გავეცნობი უფრო მეტ მეთოდურ ლიტერატურას და ყოველი ჩატარებული გაკვეთილის ბოლოს მოვახდენ რეფლექსიას, თვითშეფასებას, რაც დამეხმარება პროფესიულ განვითარებაში და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

პრობლემის გადასაჭრელად, ბავშვებს დავავალე შეექმნათ, გონიერი ცხოვრების უნივერსალური ''რეცეპტი''. ფერად ქაღალდებზე უნგა დაეფიქსირებინათ თავიანთი შეხედულებები და ემუშავათ წყვილებში.ორი მოსწავლე პასიურობდა, რადგან ვერ გაიგეს დავალების ფორმულირება. განმარტების შედეგად, ისინიც ჩაერთვნენ ერთობლივ მუშაობაში. პრეზენტაცია ლიდერმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს.

გამთლიანების ფაზაში, მოსწავლეებმა შეაჯამეს გაკვეთილი.

ამოიცნეს დღის სიტყვაც. მივეცი საშინაო დავალება და შეფასება ვაწარმოვე განსაზღვრულ დროში.

გაკვეთილის განმავლობაში, მოსწავლეებს ვაწვდიდი დადებით და კონსტრუქციულ გამოხმაურებას. მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო უნარების შეფასების მიზნით , დაკვირვების შედეგად, განმავითარებელი კომენტარით და განმსაზღვრელი ნიშნებით შევაფასე რამდენიმე მოსწავლე.

თარიღი: 21.02.2019 წ.

ხელმოწერა: მანანა მგელაძე.